

ც ა პ ა ბ მ ო დ ე ბ ა ს ა

პირვენი ქრისტიანი



ე ც რ ა ბ ე მ ღ ლ ი ბ ა პ ც

პირების კრებული

თბილისი
2014

ԱԺԻՆԾ ՃՐՋՋՅՈՒՂԱԼՈՒ

პոյտա ռու մովմեցեծագ



ავტორისაგან

გამოჩენილი პედაგოგი — კლასიკოსი, საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი იაკობ გოგებაშვილი ეკუთვნის მოწინავე იმ ქართველ ინტელიგენტთა დემოკრატიულ პლეადას, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართველი ერის განათლების, კულტურისა და სოციალ-ეკონომიურ განვითარებას ედგა სათავეში. საქართველოს ისტორიაში სამშობლოსათვის მრავალი თავდადებული გმირი იცის, რომლებმაც ქვეყნისათვის თავის თავდადებით გაითქვეს სახელი. ესენი იყვნენ: გმირი მეფეები, მებრძოლი რაინდები, მწერლები, ხუროთმოძღვარნი და მრავალი სხვა, სამშობლოსათვის თავდადებული მამული-შვილი, მაგრამ არცერთს ისეთი მძლავრი იარაღი არ მიუცია თავის ხალხისათვის, როგორიც იაკობ გოგებაშვილმა მისცა. ეს არის მისი უკვდავი „დედაენა“, რომელიც მან თავის კალმით გამოძერნა და იგი იქცა ქართველი ხალხის „ბურჯად“, ფარად და მახვილად. ეს მან გააკეთა მაშინ, როცა საქართველო სასიკვდილო კლანჭებში ჰყავდა მოქცეული რუსეთის იმპერიას. „დედაენა“ ბნელ იმპერიაში იყო ანთებული ლამპარი, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში უნათებდა გზას მილიონობით ქართველს წყვდიადიდან თავის დასაღწევად. იაკობის მოძღვრებას ეზიარა და შეითვითხორცა ერმა. იაკობის დათესილი ცოდნის მარცვალი მისი სიკვდილის შემდეგ უფრო გაღვივდა და შედეგიც ის იყო, რომ იაკობის „დედაენაზე“ გამოზრდილმა თაობამ შესძლო აღესრულებინა ქართველი ხალხის ოცნება და 1918 წლის 26 მაისს გამოეცხადებინა საქართველოს დამოუ-

კიდებლობა და საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობას.

იაკობ გოგებაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთის კოლონიური რეჟიმის პერიოდში. მისი ცხოვრება და განვლილი გზა რთული და ეკლიანი იყო, მისი უანგარო პედაგოგიური მოღვაწეობა რუსი ჩინოვნიკების მიერ ლაფში იქნა ამოსვრილი, მაგრამ იაკობი მაინც ბრნყინავდა და თვალს უბრმავებდა რუს შოვინისტებს თავისი ბრნყინვალე პატრიოტული მოთხრობებით და წიგნებით.

ჩვენ შევეცადეთ პიესაში გადმოგვეცა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები, მისი ბრძოლა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, მისი უანგარო სიყვარული, ქველმოქმედება, საზოგადოებრივი საქმიანობა, თავდადება ქვეყნისა და ახალგაზრდების მიმართ.

იაკობ გოგებაშვილზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ მიგვაჩნია რომ ქართული საზოგადოებრიობა ვალშია ამ ბუმბერაზი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის წინაშე, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა არის მაგალითი სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილისა, რომელმაც ყველაფერი ანაცვალა თავის სამშობლოს და ქართველ ხალხს.

მოქმედი პირები

იაკობ გოგებაშვილი – მწერალი, ქართველი საზოგადო მოღვაწე.

ნიკო ცხვედაძე – იაკობის მეგობარი.

ელენე ცხვედაძე – ნიკოს ქალიშვილი.

იოსებ მამაცაშვილი – იაკობის მეგობარი.

ილია ჭავჭავაძე – მწერალი, იაკობის მეგობარი.

აკაკი წერეთელი – მწერალი, იაკობის მეგობარი.

ალექსანდრე ხახანაშვილი – პროფესორი, იაკობის მეგობარი.

პიერსაში ასევე მონაწილეობენ: ნიკო ცხვედაძის ძმა **სანდრო**, იაკობის ყოფილი მოწაფე **ნიკო ლომოური**, იაკობის ნათესავები **შალვა** და **ქრისტინე**, მისი მეგობრები **გიორგი იოსელიანი**, **შიო მღვიმელი**, თომა **ტურაშვილი**, **ანტონ ფურცელაძე** და **სხვა**.

მოქმედება მიმდინარეობს ქ. თბილისში 1871-1912 წლებში.

პირველი მოქმედება

სცენა №1

ქ. თბილისი. სასულიერო სასწავლებელი, ორი პატარა ოთახი: ერთი მისაღები, მეორე — საძინებელი. მისაღებ ოთახში დგას მრგვალი მაგიდა ოთხი სკამით, ოთახის კედლებზე ჩამოკიდებულია წიგნის თაროები, რომლებზეც მრავლად აწყვია სხვადასხვა ავტორთა წიგნები, ერთ კუთხეში დგას იაკობის სამუშაო მაგიდა, რომელიც ასევე სავსეა რვეულებით და წიგნებით, ოთახის ფანჯრები ისეა მოწყობილი, რომ ყველაფერი რაც კი ხდება იქ, ხელისგულივით სჩანს სასწავლებლის დერეფნებიდან, მაგრამ ამჟამად ფანჯრებზე თეთრი ფარდა არის ჩამოფარებული. მაგიდაზე თეთრი სუფრა არის გადაფარებული, ზედ დიდი ლარნაკი დევს, რომელზეც სხვადასხვა ხილი და ტკბილეული აწყვია, მაგიდას სამი მეგობარი უზის, რომლებიც ჩაის სვამენ და ნამცხვარს მიირთმევენ, მარჯვნივ ზის იაკობ გოგებაშვილი, იგი წარმოსადეგი მამაკაცია შავ წევრ-ულვაშით. მართალია ზაფხულია, მაგრამ მას უჩვეულოდ თბილად აცვია, მის თეთრ პერანგს შავი ჰალსტუხი ამშვენებს, აცვია პიჯაკი. მისი მეგობრები შედარებით მასზედ ახალგაზრდები არიან, მათ მხოლოდ თეთრი პერანგები აცვიათ, რომლებსაც შავი ჰალსტუხები ამშვენებს. ისინი იმ დროის ტიპური ინტელიგენციის წარმომადგენლების შეხედულებას ტოვებენ, რომლებიც შავ წევრ-ულვაშით შემკობილი სიმპათიური მამაკაცები იყვნენ – ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი.

ნიკო ცხვედაძე. ძლივს არ ვეღირსე ჩემს ქვეყანაში ჩამოსვლას, თქვენ ვერ წარმოიდგენთ მეგობრები, იქ მოსკოვში, სასულიერო აკადემიაში სწავლისას, როგორ მენატრებოდა საქართველო, გვერდში გიორგი იოსელიანი რომ არ მყოლოდა, ალბათ ჭკუიდან შევიშლებოდი (და იგი გიორგის გადახედავს).

გიორგი იოსელიანი. მართალი ხარ ნიკო, მიუხედავათ იმისა, რომ ცოდნის მხრივ ბევრი რამ შევიძინეთ, სამშობლოს ნოსტალგიის სურვილი მართლაც სულს გვიხუთავდა.

იაკობი. კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მეც იგივე მემართებოდა, უცხოეთში ყოფნა ადვილი არ არის ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის.

ნიკო. რა კარგია, რომ იქ გაგვამწესეს სამუშაოდ, სადაც თქვენ მოღვაწეობთ ბატონი იაკობ, თქვენთან ერთად მუშაობა ჩვენთვის დიდი პატივია. თუ შეიძლება მოგვიყევით სემინარიის ამბები, ასევე ჩვენ ძალიან გვაინტერესებს თქვენი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოების შესახებ სიახლეები.

იაკობი. კიევიდან ჩამოსვლის შემდეგ დამნიშნეს ამ სასულიერო სასწავლებლის გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად და საცხოვრებლად ეს ორი ოთახი გამომიყვეს, თქვენ ოთახებს არ შეეძრება ვერაზე რომ გაქვთ, ჩემი ნიკო, მაგრამ ცხოვრება შეიძლება.

ნიკო. თუ მოგბეზრდეთ აქ ცხოვრება, ბატონი იაკობ, ჩემი სახლის კარი მუდამ არის ღია თქვენაირი ძვირფასი სტუმრის მისაღებად.

იაკობი. მადლობელი ვარ, მეგობრებო, იმ პატივისცემისა და ყურადღებისთვის, რომელსაც თქვენ იჩენთ ჩემს მიმართ, ეხლა კი ნება მიბოძეთ, ზოგი რამ მოგახსენოთ სემინარიისა და მისი ხელმძღვანელობის შესახებ. სემინარიის ადრინდელი მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. წლიური ხარჯი თითოეულ მოსწავლეზე სულ ხუთი-ექვსი თუმანია მთავრობისგან გამოყოფილი და უბედურება ის იყო, რომ ეს გროშები სრულად არ ხმარდებოდა მოსწავლეებს, უფროსუმცროსი ყველა იპარავდა, ამის გამო მოსწავლეთა როგორც სმა-ჭამა, ისე ჩაცმა-დახურვა სავალალო მდგომარეობაში იყო. ბავშვები გამხდრები, ფერდა-

კარგულები დადიოდნენ, უფრო ცუდად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე, ერთიცა და მეორეც მხოლოდ შიშსა და სხვადასხვა სასჯელზედ იყო დამყარებული. მასწავლებლები გაკვეთილის ახსნას არ ცდილობდნენ, მოუნიშნავდნენ წიგნში სასწავლო ადგილებს და გულდამშვიდებით გავიდოდნენ კლასიდან, გაბატონებული იყო სასწავლო მასალის უაზრო ზეპირობა, განსაკუთრებით საღრმთო რჯული 17-18 წელი უნდა ეზეპირათ და მიუხედავად ამისა ამ საგნის არაფერი გაეგებოდათ და ამის გამო სძულდათ იგი. ამას ემატებოდა ყოველ კვირა უქმე დღეებში ხანგრძლივი გაშეშებული დგომა ეკლესიაში მონასტრული წირვა-ლოცვის დროს. ჩემი მოსვლის შემდეგ, ბევრი რამე შეიცვალა, უპირველეს ყოვლისა კი მოსწავლეთა ცემა-ტყეპას ბოლო მოეღო.

ნიკო. ყოველივე ის ნაკლი, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ, როგორ მოაწესრიგეთ მარტო კაცმა, ბატონო იაკობ?

იაკობი. დიდი ძალისხმევის ფასად მოვახერხე, ჩემო ნიკო, ამის გამოსწორება, ეხლახანს მოვამზადე და სასწავლებლის ხელმძღვანელობას წარვუდგინე სასწავლებლის გარდაქმნის პროექტი. მე როგორც სასწავლებლის ინსპექტორმა გულდასმით გავაანალიზე სასწავლებელში არსებული მდგომარეობა და ჩემი პროექტი პედაგოგიკის თანამედროვე მოთხოვნათა პრინციპებზე ავაგე, ყოველივე ამან ჩემდამი უფრო დიდი ზიზლი გამოიწვია მეფის ჩინოვნიკთა მხრიდან. საქართველოს ეგზარქოსმა, ეპისკოპოსმა ევსეიმ ჩემს გაკვეთილებზე დასწრება მოისურვა და რამდენჯერმე დამესწრო იმის იმედით, რომ რაიმე დარღვევა ან ნაკლი აღმოეჩინა ჩემს გაკვეთილებზე, მაგრამ იმედები არ გაუმართლა, რამდენჯერაც დამესწრო, იმდენჯერ კმაყოფილი გავიდა გაკვეთილიდან,

ნაცვლად წინასწარ მომზადებული შენიშვნებისა, ლოცვა-კურთხევა გაისმოდა მის ბაგეებიდან.

ნიკო. რექტორი ამჟამად ვინ არის სემინარიისა?

იაკობი. არქიმანდრიტი ვალენტინი „პოპ ვასკად წოდებული“ კაცი გაუნათლებელი, ლოთი და ბლუ, ზნედაცემული ადამიანი, ეგზარქოსთან კარგ დამოკიდებულებაში ბრძანდება, ერთად სვამენ და ქალებსაც არ იკლებენ, ორივენი დიდად აფერხებენ პროგრესული იდეების დანერგვას სასწავლებელში. ცხადია, მათ მხარს უმა-გრებენ ზოგიერთი სემინარიის უვარვისი მასწავლე-ბლები, როგორებიც არიან კოვროვი და პავლე კორ-დეევსკი, მათ გაკვეთილებზე ათასნაირი უწესობა არის გამეფებული, სემინარიის მასწავლებლები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი, ერთის მხრივ, რექტორი და მისი მომხრეები და მეორეს მხრივ: მე, თომა ტურაშვილი, ორი ძმა ცვეტკოვები და სხვა პატიო-სანი მასწავლებლები, იმედია თქვენც ჩვენ გვერდით დადგებით, ბატონო ნიკო და ბატონო გიორგი.

ნიკო. რა თქმა უნდა, ჩემი იაკობ, მე და გიორგი შენ მუდამ მხარში გედგებით და სოკვდილამდის არ გიღალა-ტებთ.

იაკობი. თქვენში არასოდეს შემპარებია ეჭვი და მოხარული ვარ, რომ სასწავლებლისთვის ამ მნიშვნელოვან ჟამს ჩვენს გვერდით იქნებით, ახლახანს რექტორის მომხ-რეებმა ახალგაზრდა მასწავლებლები უფროსებთან დააბეზლეს, რასაც მოჰყვა ამ მასწავლებლების არაო-ბიექტური შემოწმება და მათი განთავისუფლება. რა თქმა უნდა, მათ კოვროვის და კორდეევსკის დათ-ხოვნაც მოჰყვა. სამღვდელოებამ სასწავლებლის უფროსად მე ამირჩია, რის შემდეგ მოსწავლეების სწავლა-აღზრდის საქმე ძირფესვიანად შევცვალე. კაჭკაჭივით გაზეპირება გაკვეთილების, მოსწავ-ლეთა ცემა-ტყება, ლანძღვა-გინება სამუდამოდ

განიდევნა სასწავლებლიდან, ამის მაგივრად სასწავლებელში დამყარდა მამა-შვილური კაცთმოყვარული დამოკიდებულება უფროს-უმცროსებს შორის, გაუმჯობესდა მოსწავლეთა კვება და ჩაცმა-დახურვა. ყოველივე ამან საშინლად გააბოროტა სასწავლებლის რეაქციული ძალები და ჩასაფრებულნი ყველანაირად ცდილობენ რაიმეში დამადანაშაულონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამას ვერ ახერხებენ.

ნიკო. მაინც რა სიახლეებს ნერგავთ თქვენს სასწავლებელში აღზრდის მხრივ, ბატონო იაკობ?

იაკობი. მე კომენსკის, პესტალოცის და უშინსკის პედაგოგიური თეორიების მიმდევარი ვარ და აღზრდა-განათლების მიზნად მიმაჩნია ადამიანის ყოველმხრივი მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მისი შეიარაღება იმ ცოდნით, რომელიც მას მისცემს ბუნების ძალთა გამოყენებისა და ცხოვრებაში გარკვევის უნარს. ეს გულისხმობს ბავშვის სრულ ჰარმონიულად განვითარებას, რაც სწავლისა და აღზრდის იდეალს შეადგენს.

გიორგი. რას ნიშნავს, ბატონო იაკობ, ადამიანის ჰარმონიულად განვითარება? ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ აყენებთ ახალი ტიპის ადამიანის შექმნის პრობლემას.

იაკობი. მე დიდი ხანია შევნიშნე ძველი ტიპის თავადაზნაურული ინტელიგენციის ფუქსავატობა, ზერელობა, ეროვნული ინტერესების ღალატი, მშრომელი ხალხისგან მოწყვეტა, რუსულ ბიუროკრატიაში შეზრდის ტენდენცია, დიახაც თქვენ სწორედ შენიშნეთ, მე ვიღწვი ისეთი განათლების სისტემისა და სასწავლებელთა ქსელის შესაქმნელად, რომლებიც შესძლებს გამოუზარდოს ჩვენს ქვეყანას ახალი ტიპის ქართველი. მათ უნდა შესწევდეთ უნარი არსებული ავადმყოფური რეჟიმისა და უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისა, მათ უნდა ჰქონდეთ

ძლიერი გონება, რეალური ცოდნა, მტკიცე ნებისყოფა, სამშობლოს სიყვარული, მაღალი ადამიანური გრძნობები, თავის თავის იმედი, თავაზიანობა, დარბაისლობა, სინდისი და პატიოსნება. ხალხს სრულიად სხვა სწავლა ესაჭიროება, სრულიად სხვა ცოდნა სწყურიათ, სწავლამ და ცოდნამ იგი უნდა მოამზადოს, ერთი მხრივ ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორეს მხრივ სანატრელი სოციალური ცვლილებებისათვის.

ნიკო. კომენსკი და უშინსკი აღიარებენ ზოგად გონებრივ განვითარებას, ზოგი კი, მაგალითად, პესტალოცის, ზალცმანს და სხვებს მიაჩნიათ და უპირატესობას ანიჭებენ სპეციალურ განათლებას, ფართო ზოგად-მეცნიერული განათლების გარეშე. თქვენ რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?

იაკობი. ახლა ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ სპეციალური სწავლა უძლეურია მეტნაკლებობით, თუ მას წინ არ უსწრებს საზოგადო განვითარება, რომელიც მოსწავლეს უვითარებს ყოველგვარ ნიჭს, აქცევს მას სრულყოფილ ადამიანად. ზოგადი განათლება უქმნის მოსწავლეს პირობებს მისი ნიჭის ფართოდ გაშლის შესაძლებლობისთვის. მხოლოდ ზოგადი განათლება აქცევს ადამიანს სრულყოფილ ადამიანად. რომელიმე დარგის ცოდნა არ უნდა იყოს მოწყვეტილი სხვა დარგების ცოდნისაგან, რომელიმე ერთი ნიჭის განსაკუთრებულმა განვითარებამ არ უნდა მიჩქმალოს ადამიანის სხვა ნიჭი. საზოგადო გახსნილობა ბავშვის გონებისა მოუცდელი პირობაა ყოველის სპეციალურის ცოდნის შეძენისათვის.

ჩვენ გვესაჭიროება სრული ქართველნი, განათლებული მამულიშვილნი, შეიარაღებულნი ნამდვილი სამეურნეო სწავლით. (კარზედ დაკაკუნების ხმა ისმის). ვინ არის?

უცნობი. გოგია ვარ, ბატონო იაკობ.

იაკობი. შემოდი, გოგია. (კარი იღება და შემოდის ათიოდე წლის სასწავლებლის მოსწავლე).

გოგია. ბატონო იაკობ, ბოდიშს ვიხდი რომ გაწუხებთ, მაგრამ თქვენ რომ მითხარით წიგნი თუ დაგჭირდეს მომაკითხეო, იმიტომ მოველ, თქვენი წიგნი ძალიან მჭირდება. (იაკობი ამჩნევს რომ მოსწავლეს ერთი ფეხსაცმელი გახეული აქვს და ამის გამო უხერხულობას გრძნობს და მალავს ფეხს).

იაკობი. ახლავე, ჩემო პატარავ (იაკობი დგება, თაროდან წიგნი ჩამოაქვს და ყმაწვილს აწვდის). ეს ბუნების კარი შენნაირი ყმაწვილებისათვის შევადგინე და გულდასმით წაიკითხე, შენთვის ბევრი რამ სასარგებლო წერია.

გოგია. აუცილებლად წავიკითხავ და გავუფრთხილდები წიგნს.

იაკობი. ფეხზედ რა მოგივიდა, გოგია?

გოგია. ბევრი ვითამაშეთ და ფეხსაცმელი გამეხა. (იაკობი ჯიბიდან ფულს იღებს და მოსწავლეს აწვდის).

იაკობი. აიღე გოგია და ფეხზედ ჩასაცმელი იყიდე, ოღონდ ბურთი ახალი ფეხსაცმლით აღარ ითამაშო.

გოგია. გმადლობთ, ბიძია იაკობ, წიგნსა და ფეხსაცმელს გავუფრთხილდები (ოთახიდან გახარებული გადის).

იაკობი. ეს გოგია ისეთი ბეჯითი მოსწავლეა, რომ მეტი არ შეიძლება, მაგრამ ობოლია საწყალი და ხანდახან ვეხმარები ასეთ მოსწავლეებს რაც კი შემიძლია.

ნიკო. ბატონო იაკობ, თქვენს ქველმოქმედებაზე ბევრს ლაპარაკობენ და მაინტერესებს საზღვარგარეთ სასწავლებლად მყოფ სტუდენტებს თუ ეხმარებით?

იაკობი. კი, ვეხმარები ნიჭიერ ახალგაზრდებს. იყო ჩვენთან ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ბეშკენაძე, იგი ამჟამად საზღვარგარეთ სწავლობს, მას და კიდევ რამდენიმე საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ ნიჭიერს, მაგრამ ხელმოკლე ახალგაზრდას სტიპენდიებს ვუგზავნი ხოლმე გარკვეული რაოდენობით.

ნიკო (სიცილით ეუბნება). ბატონო იაკობ, ჩვენს მეგობარს

თედო სახოკიას ციმბირიდან როგორ დააღწევინეთ თავი, იქნებ ეგეც გაიხსენოთ.

იაკობი (ელიმება მასაც). თედო სასამართლოს დადგენილებით რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ციმბირში გადაასახლეს, კონკრეტულად იაკუტსკის გუბერნიის ვერხოდენსკის მაზრის სოფელ უიგალოვაში. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ციმბირიდან გამოპარულიყო, მაგრამ უსახსრობის გამო ამ განზრახვის განხორციელებას ვერ ახერხებდა, მაშინ მან დეპეშა გამომიგზავნა, ფულით დახმარებას მთხოვდა სამშობლოში დასაბრუნებლად, მე დეპეშის მიღებისთანავე დეპეშითვე გაუგზავნე თედოს ხუთი თუმანი, ჩემმა ხუთმა თუმანმა ჩვენს მეგობარს საშუალება მისცა შორეული ციმბირისათვის თავი დაელნია, მაგრამ საქართველოში კი არა, საზღვარგარეთ წავიდა ლტოლვილობაში. დღემდე ვერ გამირკვევია, ამ მცირე თანხით ამდენი როგორ მოახერხა.

გიორგი. ბატონო იაკობ, თქვენს მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებზე რას იტყოდით?

იაკობი. 1865 წელს გამოიცა ჩემი ანბანის სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“.

გიორგი. თქვენმა ამ სახელმძღვანელომ იმთავითვე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და იგი საუკეთესო სახელმძღვანელოდ იქნა მიჩნეული თავისი პედაგოგიურ-დედაქტიკური გამართულობით.

იაკობი. დიახ, მართლაც იგი დიდ დახმარებას უწევს მოსწავლეებს მშობლიური ენის შესწავლაში, სახელმძღვანელოს აქვს წინასიტყვაობა „მასწავლებლებისათვის“, სადაც მოცემულია მეთოდიკური მითითება. 1868 წელს შევადგინე და გამოვეცი „ბუნების კარი“, რომელმაც არანაკლები მოწონება დაიმსახურა. იგი საკმაო რაოდენობის ტირაჟით გამოიცა და სწორედ

ამ ჰონორარების საშუალებით ვეწევი ქველმოქმედებას. (უცბად კარი იღება და დაუკითხავად შემოდის იაკობის კოლეგა მასწავლებელი სემინარიისა თომა ტურაშვილი).

თომა. მაპატიეთ, ბატონბო იაკობ, ასე დაუკითხავად რომ შემოვიჭერი, მაგრამ საქართველოს ეგზარქოსი ევსეი არის მოსული სასწავლებელში და თქვენთან შეხვედრა სურს. იგი ამჟამად სასწავლებლის რექტორთან არის და იქ გიბარებს.

იაკობი. რაო, რა მინდაო, არ უთქვამს?

თომა. ძალიან გაბრაზებულია, ამის მიზეზი ახალი ცილისმწამებლური წერილია თქვენს წინააღმდეგ.

იაკობი. რა გაეწყობა, მეგობრებო, მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ (იაკობი დგება და გადის ოთახიდან).

სცენა №2

იოსებ მამაცაშვილის სახლი. დიდი სასტუმრო ოთახი, რომელსაც სცენის მხარეს აივანი ახლავს. ოთახი მდიდრულად არის მორთული, კედლებს სხვადასხვა მხატვრის სურათები ამშვენებს, ერთ კედელზე თურქული ხალიჩაა ჩამოკიდებული, რომელსაც ძველი საბრძოლო იარაღები ამშვენებს, ოთახის კუთხეში დიდი გერმანული როიალი დგას, მის გვერდით კედელს წიგნის თაროები გადმოჰყურებს, ოთახის შუაში დიდი მუხის მაგიდა დგას, რომელიც საზეიმოდ არის განყობილი ქართული სამზარეულოს კერძებით და ძვირფასი წითელი და თეთრი კახური ღვინოებით. მაგიდას ექვსი ადამიანი უზის, ესენი არიან: ოჯახის უფროსი იოსებ მამაცაშვილი, ნარმოსადეგი შუახანს გადაცილებული მამაკაცი, ჭაღარა შერეული წვერ-ულვაშით. იგი საზეიმოდ არის გამოწყობილი. მის თეთრი პერანგის საყელოს შავი ფრაკი და ჰალსტუხი ამშვენებს. მის გვერდით მისი ქალიშვილი, ულამაზესი დარო ზის, მის მაღალ შუბლსა და სახის სწორ ნაკვეთებს დიდი და ლამაზი მეტყველი თვალები ამშვე-

ნებს. მას თეთრი ფერის ქართული ტრადიციული კაბა აცვია, რომელიც ლამაზად შემოკვროდა მის მოხდენილ ტანს, ბროლის-ფერ მაღალ კისერსა და მკერდზე შავი გიშერივით მიიკლაკნებოდა მისი ორი დიდი ნაწნავი. მის გვერდით იაკობი ზის, დარბაისელი, წარმოსადეგი და ყველასათვის საყვარელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იყო, მას თბილად ეცვა, თავის სუსტი ჯანმრთელობის გამო გაციების ეშინოდა, იგი ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული და ყველა დიდი თავაზიანობით და პატივისცემით ეპყრობოდა, მის გვერდით იჯდა იაკობის მეგობარი ნიკო ცხვედაძე და მისი ქალიშვილი ელენე, რომელიც სასწავლებლის მოწაფე იყო. მას იაკობი ხშირად ამეცადინებდა, ყურადღებას არ აკლებდა, იგი მკვირცხლი, მხიარული და ლამაზი გოგონაა, რომელსაც ძალზედ უყვარდა მამის მეგობართან ყოფნა და ისიც მუდამ თან დაატარებდა. მის გვერდით იჯდა იაკობის მეგობარი, პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. ისიც შუახანს გადაცილებული იყო, მას ჭალარა წვერ-ულვაში ჰქონდა, იგი საშუალო სიმაღლის გამხდარი მამაკაცი იყო, რომელსაც ძველი გახუნებული შარვალ-კოსტიუმი ეცვა. ქ. თბილისში მცხოვრები ქართველი მოღვაწეები ეროვნული საქმეების შესახებ სალაპარაკოდ იმ დროს კონსპირაციულ ბინებში იკრიბებოდნენ და მნიშვნელოვან საქმეებზე ბაასობდნენ, ასეთი საიმედო ბინა იყო იოსებ მამაცაშვილის ბინა.

იოსებ მამაცაშვილი (ფეხზე დგება და ამბობს). ჩემო კარგო მეგობრებო, ჩვენი ლიტერატურული სალონი ბოლო დროს მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა და ეს უპირველეს ყოვლისა არის დამსახურება ჩვენი სასიქადულო პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, ბატონი იაკობ გოგებაშვილისა. მისი შემწეობით სალონი ეკონომიურად მეტად მომძლავრდა და ჩვენს სალაროში აღმოჩნდა გარკვეული თანხა, ეს თანხა გამოყენებული იქნა სოფლად სკოლების მოწყობისა და მისი

ფუნქციონირებისათვის. სალონმა დაიწყო ასევე საგა-
ამომცემლო საქმიანობაც. მე მინდა შემოგთავაზოთ
ბატონ იაკობის სადღეგრძელო, გთხოვთ მიირთვათ.

ნიკო ცხვედაძე. მეგობრებო, ჩვენს სასიქადულო მამული-
შვილს, ბატონ იაკობს აქვს გამოცემული ორი შესა-
ნიშნავი სახელმძღვანელო. ეს არის ქართული ანბანი
და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის და
მეორე, „ბუნების კარი“. ამ სახელმძღვანელოებს ენციკლოპედიური ხასიათი აქვს, მოზარდი თაობა ამ
წიგნებიდან ეცნობა ბუნებისმეტყველებას, გეოგრა-
ფიას, ისტორიას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას.
ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეების რეალურ განათ-
ლებას მშობლიურ ენაზე, მაგრამ ეს გარემოება
შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსიფიკატორული პო-
ლიტიკის მესვეურებს. დეკანოზმა ვოსტორგოვმა ხმა
აღიმაღლა „ბუნების კარის“ წინააღმდეგ და გამოთქ-
ვა აზრი, რომ ქართული სახელმძღვანელოები მხო-
ლოდ ენას უნდა ასწავლიდნენ, იმასაც სასულიერო
სტატიების საშუალებით, ცოდნის იარაღად კი
მხოლოდ რუსული ენა უნდა გამოიყენოთ. დეკანო-
ზი ყველაზე მეტად გააბოროტა „ბუნების კარში“
მოცემულმა საქართველოს ისტორიამ და გეოგრაფი-
ამ. იაკობ გოგებაშვილმა შეუპოვარი ბრძოლით დაიც-
ვა „ბუნების კარი“. ვოსტორგოვებს დიდი ხანია სურთ
ქართული სკოლა გადააქციონ დენაციონალიზაციის
გადაგვარების და დაცემის იარაღად, მაგრამ ამას
ისინი ვერ ეღირსებიან. თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო
იაკობ (იგი სვამს სასმისს).

იაკობი. გმადლობთ, ჩემი მეგობრებო. მინდა ნიკოს სიტყვებს
გამოვეხმაურო, ისტორიაში არ მოიძებნება მაგა-
ლითი, რომ ერს ეღალატოს თავისი ეროვნულობი-
სათვის და იგი არ გახრწნილიყოს. მშობლიურ ენაზე
სწავლება უადვილებს ბავშვს მეცადინეობას და

შესამჩნევად უზრუნველყოფს სწავლების პროცესის წარმატებას. სწორედ მშობლიური ენა უნდა წარმოადგენდეს უცხო ენის შესწავლის საფუძველს. მშობელი, რომელიც აშორებს თავის შვილს „დედა-ენას“ და უცხო ენაზე ასწავლის, ხელიდან ართმევს თავის შვილს ერთადერთ ძლიერ საშუალებას გონების სწორად გახსნისათვის, დედაენის ცხოველმყოფელ გავლენას მოკლებული ბავშვი ვერასოდეს ვერ განვითარდება სრულყოფილად, უცხო ენაზე გაზრდილი ბავშვი იმ საცოდავ მერცხალს ჰგავს, რომელსაც ძალდატანებით მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და აიძულებენ შოშიას სტვენა ისწავლოს. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერასდროს ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებრივ ნიჭს, გამოვა ქარაფშუტა პირი, უხასიათო ადამიანი, ბუნება ასე სჯის იმ ადამიანს, რომელიც მისი კანონების წინააღმდეგ მიდის და ართმევს ბავშვს იმ შესანიშნავ იარაღს, რომელიც საუკუნოვანი არსებობის მანძილზე ხალხს შეუქმნია და რომლისთვისაც მშობლიური ანუ დედაენა უნდებია. ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისა, რომელიც უგუნურ პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და უანგს აჭმევინებს, ამიტომ ობიექტურად თავისთავად მდიდარი და განვითარებული ქართული ენა განსაცდელშია.

იოსებ მამაცაშვილი. ბატონო იაკობ, თქვენი თავდადებული და უმწიკვლო მოღვაწეობა გასხივოსნებულია ერთი იდეალით: ემსახუროთ „ეროვნულ ბურჯს“ — მშობლიურ ქართულ ენას, ხელი შეუწყოთ ამ „ჟანგმოდებული ფოლადის სახნისის“ ამუშავებას. ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ მუშაობა დაიწყეთ „დედა-ენაზე“ და იმედია ამ შესანიშნავ სახელმძღვანელოს მაღე იხილავს ქართული საზოგადოება.

იაკობი. დიახ, მე დაულალავად ვმუშაობ „დედაენაზე“ და იგი მალე გამოვა, მაგრამ ამჟამად არა ნაკლებ მნიშვნელობის საკითხით ვარ დაკავებული. ეს არის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება და მისი წესდების შექმნა, რომელიც, ჩემი აზრით, დიდად შეუწყობს ხელს მცოდნე და განათლებული ახალგაზრდა თაობის აღზრდას. ამ საკითხზე ალბათ კიდევ მოგვინევს შეხვედრა სხვა საზოგადო მოღვაწეებთან.

ალექსანდრე ხახანაშვილი. მეგობრებო, მოდით ცოტა სახუმარო თემებსაც შევეხოთ. მე მინდა მოგიყვეთ თუ როგორ ვიმოგზაურეთ ერთხელ მე და იაკობმა ბორჯომიდან თბილისში: ბორჯომის სადგურზე თბილისში წამოსასვლელად ბილეთების საყიდლად იაკობი რიგში ჩადგა. კარგა ხანს იდგა. როცა მე მოვედი, მითხრა, ეხლა შენ ჩადექი რიგში, მე კი ჩემს ბარგს მივხედავო. ჩამაყენა და თვითონ წავიდა, უეცრად სად იყო და სად არა, მოვიდა ჩემთან ვეება რუსი უანდარმი და ჩხუბი დამიწყო, რატომ შეძვერი ურიგოდო, თან ლანძლვას არ მაკლებდა. უცბად იაკობი მოვიდა. რომ დამინახა ასეთ ცუდ დღეში ვიყავი, უანდარმს გაუჯავრდა და უთხრა, განა შენ არ იცი, რომ იქ მე ვიდექი რიგშიო. უანდარმმა უპასუხა, თქვენ რომ იდექით ვიციო, მაგრამ ეს საიდან გამოძვრა არ დამინახავსო. ეს მე ჩავაყენე ჩემს მაგივრად და შენ როგორ უბედავ ყვირილსო, იცი ეს ვინ არისო? ეს კაცი პროფესორია, მოსკოვის უნივერსიტეტის მეცნიერი. უანდარმი უცბად შეკრთა და გაჩუმდა, მაგრამ შემდეგ ხარხარი ატეხა და სთქვა: ეს თუ პროფესორია და ხელი გულზე მომადო, მაშინ მე გენერალი ვყოფილვარო. მართლაც, მე სვანეთში მოგზაურობის შემდეგ ვიყავი ჩამოსული ბორჯომში, პალტო ძველი და შელახული მეცვა, ქუდი გახუნებული, შარვალი

დახეულ-დაკემსილი და ტოტებ შემოხეული. ჩემს ტანსაცმელს დავხედე და რუს უანდარმს სიცილში გულიანად ავყევი, მაგრამ ჩემი უბედურება ამით არ დასრულებულა. კასპს რომ მივაღწიეთ, მე რაღაცის საყიდლად მატარებლიდან ჩავედი და ამოსვლა კი დავაგვიანე. როგორც იქნა დაძრულ ვაგონში ავედი, მაგრამ ვაგონის გამყოლმა ჩხუბი დამინუო, არ მიშვებდა და მიყვიროდა, — აი შენი ვაგონი იქით ქვევით არის, მესამე კლასი, იქ წადი, აქ შენ საქმე არაფერი გაქვსო, აქ სუფთა ხალხია. ამ დროს კონ-დუქტორმაც მოგვისწრო და დაარწმუნა გამყოლი ჩემს სიმართლეში და ვაგონში ძლივს შემომიშვეს, ახლა თბილისში არ იკითხავთ? მეტლემაც დამიწუნა, არაფერი გიშავს, ფეხით წადი, სამი აბაზი სად გექნება შენაო. (ყველა იქ მყოფი გულიანად იცინის).

იაკობი. მოდით, ჩემო მეგობრები, ერთი ჩვენებურად მამაპაპური სიმღერა შემოვძახოთ (და იგი იწყებს სიმღერას „მრავალ უამიერ“. სუფრის წევრები ყველანი აყვებიან იაკობს. სიმღერას რომ დაამთავრებენ, დარო მამაცაშვილი გამოელაპარაკება იაკობს).

დარო მამაცაშვილი. ბატონო იაკობ, ყველასათვის ცნობილია თქვენი უანგარო ზრუნვა ქართველ ქალებზე და თუ როგორ დიდ როლს ანიჭებთ მათ საქმიანობას. თქვენს პუბლიცისტურ წერილს „ბურჯი ეროვნების“, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიის, ზოგად პედაგოგიკის და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებს, ფართო გამოძახილი პპოვა ქართველ ქალებში. ისე, როგორც თქვენმა მოთხრობამ „იავნანამ რა ჰქმნა“ და ვაჟას მოთხრობამ „შვლის ნუკრის ნაამბობმა“.

იაკობი. მართლაც, „ბურჯი ეროვნებისა“ წერილს ფართო გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში, მისი გამოქვეყნების შემდეგ მე მივიღე უცნობი ქართველი

ქალის წერილი, რომელშიც მწერდა, რომ: თქვენ ჩაგიხედნიათ ჩვენი ქვეყნის გულის სიღრმეში, ჩვენს წარსულსა და აწმყოში; ამ წერილმა გამალომა, გამავეფხვა, ამ წერილის წაკითხვამ დიდი ენერგია მომცაო. მე ვიცი, რა ძალა, რა ენერგია მისცა ამ წერილის წაკითხვამ ამ უცნობ ქალს — ეს არის ძალა სულიერი და მორალური, რაც ესე აუცილებელია ბრძოლაში გამარჯვებისათვის. ის არის ქართველი დედა არა ერთგზის უკვდავყოფილი ქართველი მწერლებისა და ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერების, ის არის ქართველი დედა, რომელიც მამულს უზრდის სახელოვან შვილებს. მოდით, ჩემო მეგობრებო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმიანობაში ჩავაბათ ქართველი ქალები და ამ მიზნით მათთვის ლექციების წაკითხვა ვთხოვოთ თბილისის სასულიერო სემინარის ქართველ მასწავლებლებს.

ნიკო ცხვედაძე. ეს შესანიშნავი იდეაა იაკობ, ლექტორებად დანიშნული მასწავლებლები დაუყოვნებლივ შეუდგებიან დავალების პირნათლად შესრულებას, ამას პირადად მე ვუხელმძღვანელებ.

დარო მამაცაშვილი. ეს კულტურული ღონისძიება მეტად დააინტერესებს ქართველ ქალებს, რომლებიც უდიდესი ყურადღებით მოუსმენენ ლექციებს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და ამრიგად გააღრმავებენ თავიანთ ცოდნას.

ელენე ცხვედაძე. ბატონი იაკობ, თუ შეიძლება, რომ ჩვენი სემინარის მოსწავლე გოგონებიც დავესწროთ ამ ლექციების კურსს და გავზარდოთ ჩვენი მსმენელთა აუდიტორია. ჩვენი გოგონები იშვიათი ბეჯითობით და ინტერესით მოისმენენ ლექციებს და საჭირო ცოდნას შეიძენენ.

იაკობი. ჩემო მეგობრები, გულითადათ გახარებული ვარ, რომ ჩემი წინადადება ასე მხურვალედ იქნა ატაცებული,

რა თქმა უნდა, ჩემო ელენე და დარო, ეს თქვენთვის და თქვენნაირი ათასი ქართველი მანდილოსნისათვის არის საჭირო, რათა ძლიერი და ჭეშმარიტი მამული-შვილური თაობა აღზარდოთ. (ამ დროს იაკობს ხველა აუვარდება, დარო მამაცაშვილი მას ჭიქით წყალს მიაწვდის, იაკობი წყალს შესვამს და დაროს ეტყვის). მადლობელი ვარ, ძვირფასო დარო, ისევ შენ თუ მომხედავ, მეგობრებო მაპატიეთ, მე აივანზედ გავალ სუფთა ჰაერზე.

დარო. მე გამოგყვებით, ბატონო იაკობ (და ისინი დერეფანში გადიან). იაკობ, რატომ არ უფრთხილდებით თავს, ეტყობა გაციყვდით და ამიტომ გახველებთ.

იაკობი. არა, ჩემო დარო, თავს მე ვუფრთხილდები იმიტომ, რომ კიდევ მინდა ზოგი რამ გავაკეთო სასიკეთო ჩემი ხალხისა და ქვეყნისათვის, მაგრამ ეს ოხერი ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, მე თქვენი ოჯახის მხრიდან და პირადად შენგან დიდ ყურადღებასა და პატივისცემას ვგრძნობ და დიდი მადლობელი ვარ ამის გამო, უნდა გამოგიტყდე, ჩემო დარო, რომ მანდილოსნისადმი ისეთი დიდი მოკრძალება და სიყვარული არასდროს განმიცდია, როგორსაც შენდამი ვგრძნობ და განვიცდი. მე შენ ძალიან მიყვარხარ დარო ისეთი დიდი სიყვარულით, რომლის სიტყვით გადმოცემა არ შემიძლიან და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიან (იაკობი დაროს ხელზედ ეამბორება).

დარო. ჩემო იაკობ, არ დაგიმალავ, მეც შენდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა მაქვს, ყმაწვილ ქალობიდან შემიყვარდი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენს ოჯახში სტუმრად მოდიოდი და შენი საინტერესო საუბრებით მოჯადოებული გისმენდი, სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩემს სიყვარულს და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მტკიცდებოდა იგი. მე თქვენს გარდა ქმრად არავის ვისურვებდი, ჩემო იაკობ.

იაკობ. ჩემო დარო, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდე-
საც შენგან ჩემდამი ასეთ სასიყვარულო სიტყვებს
ვისმენ, მეც იგივე მწადია, რაც შენ. შენს მეტს ქალს
მე ცოლად არვის ვინატრებდი, მაგრამ ეს ავადმყ-
ოფობა მკლავს და დღითი დღე მასუსტებს ჩემო
დარო, მე შთამომავლობით ჯანმრთელობის სისუსტე
გადმომეცა, ხშირად ვცივდები და ფილტვების ანთე-
ბით ვხვდები ავად, ჩემი ერთი ძმა და ერთი და ჭლექის
დაავადებულები გარდაიცვალნენ, მე სასტიკი რეჟი-
მით ვცხოვრობ, ამ რეჟიმის დაცვა და ცხოვრებაში
ზუსტად გატარება, ჩემი ყოველდღიური ურყევი
კანონია, მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ ტანჯვაა და
მეტი არაფერი, მე საყვარელ ქალს ამ ტანჯვაში ვერ
ჩავაყენებ. დიდი სიფრთხილით, დიდი სერიოზუ-
ლობით ვეკიდები ჩემს დაცოლშვილების საკითხს,
ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა მეტად
მიძნელდება, მე ავადმყოფი ადამიანი ვარ, განუკურ-
ნებელი სენი შთამომავლობით მაქვს ნაანდერძევი და
ამიტომ ზნეობრივი უფლება არა მაქვს ცოლ-შვილს
მოვეკიდო და მსხვერპლად შევიწირო საყვარელი
ადამიანი და მასთან ერთად მომავალი შთამომავ-
ლობაც, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი გულწრ-
ფელი, ნაზი სიყვარული და მეგობრული უბინო კავ-
შირი ქორწინებით ვერ დაგვირგვინდება, მოდი ძვე-
ლებურად მეგობრებად დავჩეთ, ჩემო დარო და ძვე-
ლებური გულწრფელობით ერთმანეთს პატივი ვცეთ.

დარო. ჩემო იაკობ, ეგ სენი არც ისეთი უნკურნებელია,
როგორც შენ გგონია. მე და მამა საუკეთესო ექიმებს
დაგახვევთ, მეც ზრუნვას არ მოგაკლებ და ჩვენ
ერთიანი ძალისხმევით ავადმყოფობას უკან დავა-
ხევინებთ და შენს სხეულიდან სამუდამოდ განვ-
დევნით. (ამ დროს იაკობს ძლიერი ხველა აუვარდება, რომელსაც პირიდან სისხლის ღებინება მოყვება, ამ

ამბით შეძრნუნებული დარო ყვირის და სტუმრებს საშველად უხმობს. აივანზედ შეშინებულები გამოცვივდებიან და ავადმყოფ იაკობს სახლში შეიყვანენ, ოთახში მდგარ დივანზედ დააწვენენ).

ნიკო. მე ექიმს დაუძახებ და სწრაფად მოვალ, იგი აქვე ახლოს ცხოვრობს (გადის ოთახიდან).

იაკობი. (პირზედ სისხლიან ცხვირსახოცს იფარებს) ნუ სწუხართ ჩემს გამო მეგობრებო, ეს მალე გადამივლის, თქვენ იმხიარულეთ, მე ნუ მომაქცევთ ყურადღებას.

იოსებ მამაცაშვილი. რას ამბობ, იაკობ, შენ ესეთ დღეში იყო და ჩვენ ვიმხიარულოთ? ეს სად გაგონილა, შენ სიმშვიდე და მკურნალობა გჭირდება. (ამ დროს კარი იღება და ოთახში ნიკო და ექიმი შემოდიან. ექიმი სინჯავს ავადმყოფს).

ექიმი. ბატონი იაკობ, თქვენ ჯანმრთელობა შერყეული გაქვთ, დიდმა შრომამ უარყოფითი შედეგები გამოიღო, ორგანიზმი გადაიტვირთა და მას დასვენება ესაჭიროება, გთხოვთ შეწყვიტოთ ყოველგვარი მუშაობა და ჰაერის გამოსაცვლელად გაემგზავროდ ქალაქ გარეთ, სადმე მთის კურორტზე.

ნიკო ცხვედაძე. მართალი ხართ ექიმო, ამ ზაფხულს იაკობს კავთისხევში წავიყვან, ხომ მოუხდება?

ექიმი. მოუხდება, ოღონდ არავითარი მუშაობა — არც ფიზიკური და არც გონებრივი. ახლა კი, ბატონებო, აუცილებელია ავადმყოფის სახლში გადაყვანა, მას დასვენება ესაჭიროება.

იოსებ მამაცაშვილი. კეთილი, ექიმო, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ბატონი იაკობის ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად, მზრუნველობას არ მოვაკლებთ.

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოძრადება

სცენა №3

ქ. თბილისი, სასულიერო სასწავლებელი. იაკობის საძინებელი და სასტუმრო ოთახი. ნიკო ცხვედაძე საწოლთან ახლოს უზის იაკობს, რომელიც წევს. ის ავად არის.

იაკობი. მას შემდეგ, რაც სასწავლებლის ხელმძღვანელობას წარვუდგინე სასწავლებლის გარდაქმნის პროექტი, სადაც სწავლა-აღზრდის პროგრესული იდეები მქონდა მოცემული, არ შეუწყვეტიათ ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა სასწავლებლის ხელმძღვანელობას, მათ სასტიკად არ მოეწონათ ის სიახლეები, რომელიც მე მქონდა პროექტში. მაგრამ მე მაინც მთელი პრინციპულობით ვიბრძვი განათლების დარგში მოკალათებულ შავრაზმულ და რეაქციულ-კონსერვატიული ჩინოვნიკების წინააღმდეგ.

ნიკო. იანოვსკები, ვოსტორგოვები, ლევიტსკები, ზახაროვები, ლიხაჩივები — ეს რეაქციონერი შოვინისტები სრულიად სხვადასხვა ადამიანები არიან, მაგრამ როგორ სწრაფად გაერთიანდნენ რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ ყურმოქრილი მონებივით, ისინი თავგამოდებით იბრძვიან ქართული კულტურის გადაგვარებისათვის, ქართული ენის მოსპობისათვის. საქართველომ თავის ისტორიის მანძილზე მრავალი უცხო რჯულის დამპყრობი მოიგერია, მაგრამ ერთმორწმუნე რუსეთის კლანჭებს ვერა და ვერ დააღწია თავი, ნეტავ თუ დადგება ისეთი დრო, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იქნება, დღევანდელი გადასახედიდან ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ იმედია, ეს დღეც გაუთენდება ქართველ ხალხს.

იაკობი. ესენი „ტაშკენტელი პედაგოგები“, შჩედრინის „ბატონ

ტაშკენტელთა მსგავსად თვითონ ნახევრად უვიცნი და ხეპრენი საქართველოს განმანათლებლობას კისრულობენ იმ დროს, როცა მათი ნამდვილი მიზანი არის საქართველო გადააქციონ მხარედ, სადაც შეიძლება ადამიანს ცხვირპირი ამტვრიო, გაიტაცო მისი ქონება და ფეხქვეშ გათელო მისი ადამიანური ლირსებანი. სასწავლებელში მოსწავლეები და მასწავლებლები ორ მტრულ ბანაკად არიან გაყოფილი, პირველ ჯგუფს უნდა ყოველმხრივ გააუმჯობესოს არსებული მდგომარეობა სემინარიაში, ხოლო მეორე ჯგუფს სურს დაიცვას ძველი წესები, რადგან მათი პირადი სარგებლობა მტკიცებული არის დაკავშირებული არსებულ წესყობილებასთან. მალე ჩემზეც ამოიყრიან ჯავრს, მე მწამებენ რუსეთის მეფის ღალატს სოციალური და მატერიალური იდეების ქადაგებას, ფარულ საზოგადოებაში მუშაობას და სხვა ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას. ერთხელ ჩემს გაკვეთილზე მოულოდნელად შემოიჭრნენ ეგზარქოსი ევსეი და სემინარიის რექტორი ვალენტინი, რომლებსაც უნდოდათ რაიმე მავნე იდეა აღმოეჩინათ ჩემს საუბარში გაკვეთილის ახსნის დროს, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. შემდეგ გავიგე, რექტორს უთქვავს ჩემზე ეგზარქოსისთვის „დიდი ნიჭის პატრონია, ეს რომ მატერიალისტი არ იყვეს, ლირსია დიდი თანამდებობისაო“. ორმა ჩემმა კოლეგამ სასწავლებელში, გადათარგმნეს „ბუნების კარში“ მოქცეული აღნერა მაიმუნების ცხოვრებისა და მრავალი ზედნადებით წარუდგინეს ეგზარქოსს, რომელმაც მე პასუხი მომთხოვა. მან ჯეროვანი დასაბუთებული პასუხი მალე მიიღო, მაგრამ მრისხანე ბრალდება მაინც წამომიყენა. ასე მითხრა: შენ დარვინის და კარლ ფოხტის მოსწავლე ხარო, მაგიდაზე გიდევს „შთამომავლობა ადამიანის“ და არა თუ შენ კითხუ-

ლობ მას, არამედ მცირენლოვან მოსწავლეებსაც კი აკითხებო, მოდი და იმართლე თავი, ასევე ნუ დაგვავინყდება, რომ საქმე გვაქვს ბერებთან, ნამუსზედ ხელალებულ ბერებთან. მართალია, 1873 წელს ხელმნიფის მოადგილის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის განკარგულებით ეგზარქოსი ევსეი და რექტორი სემინარიის ვალენტინი განდევნილ იქნენ საქართველოდან, მაგრამ ათასნაირი სხვა გაიძვერა ობობას ქსელივით შემომეხვია გარშემო.

ჩემო ნიკო მე ძალიან ცუდათა ვარ, აი უკვე რამდენიმე დღეა სიცხემ და ხველამ მიმატა ხშირად ნახველს სისხლი ამოყვება ხოლმე, მე ველარ ვაქცევ ყურადღებას ჩემს საქმეებს, კანცელარია ვიღაცის ბოროტმა ხელმა აურ-დაურია, შემოსავალ-გასავლის წიგნი სადღაც გაქრა, ველარც სხვა ქალალდებს ვპოულობ, იქნებ რაიმე მიშველო და მომიგვარო საქმეები, თორემ რეაქციის მოციქულებმა აირჩიეს ჯაშუშობის, დაბეზღების გზა. ვიცი, რომ სინოდს და სხვა ორგანოებს ათასნაირ ცილისწამებლურ წერილებს უგზავნიან და მე გამოვყავარ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხების ორგანიზატორად და შეურიგებელ ათეიისტად. თუ სასწავლებელში შემოწმებით ვინმე შემოვიდა, აუცილებლად სადღაც რაღაცაში ცილს დამწამებენ, მე კი ლოგინიდან ვერ ვდგები, შენი იმედი მაქვს, იქნებ მოუარო ამ ჩემს ანენილ საქმეებს. მე ამჟამად თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ვასრულებ და ყველაფერზე პასუხს მომთხოვენ. (უცბად კარი იღება და ოთახში შემოდიან უწმინდესი სინოდის ოპერპროკურორის რწმუნებული კერსკი, იგი შუახნის მამაკაცია ქერა თმებით და ულვაშებით, მას სამხედრო ფორმა აცვია და ხელში დიდი საქართველო უჭირავს, მასთან ერთად შემოდის კავკასიის სასწავლო

ოლქის ინსპექტორი იანოვსკი. კერსკი საწოლთან ახლოს მივა იაკობთან, ნიკო ფეხზე წამოდგება, იაკობი გაკვირვებულია). ვინ ბრძანდებით ბატონებო და რა გნებავთ?

კერსკი. მე გახლავართ უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის რწმუნებული კერსკი, ეს კი (გვერდზე მდგომზე მიუთითებს) გახლავთ კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი იანოვსკი. სემინარიის ადმინისტრაციამ საჩივარი დაწერა თქვენზე, რასაც საფუძვლად მოყვა სასწავლებლის რევიზია, რევიზიამ დაადგინა, რომ თქვენ აქ, ამ ბინაში აწყობთ ახალგაზრდობის ფარულ კრებებს, აკითხებთ ბავშვებს უარყოფითი მიმართულების წიგნებს, უმუშავებთ მოსწავლეებს ანტირელიგიურ შეხედულებებს, გარდა ამისა თქვენ ბრალად გედებათ სასწავლებლის თანხების გაფლანგვა, ამის გამო თქვენ განთავისუფლებული ხართ სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობიდან მესამე მუხლით, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი. აი თქვენი განთავისუფლების ბრძანება (იგი საქალალდედან იღებს ფურცელს და იაკობს ლოგიზმე დაუგდებს). ამის გარდა კატეგორიულად მოვითხოვ რომ თქვენ დღესვე დაცალოთ სასწავლებლის ეს ოთახები.

იაკობი. (იგი ლელავს, ახველებს, ნიკო მას წყალს აწვდის. იგი სულს მოითქვამს და ამბობს) მეფის ველური ბიუროკრატიის წინაშე მე თავის მართლება დამამცირებლად მიმარინა, ხოლო ქართველი საზოგადოების წინაშე მე ეს არ მჭირდება, ახლა მიძრძანდით აქედან ბატონებო. (იაკობს ხველა აუვარდება).

ნიკო. (მიმართავს კერსკის). თქვენ რაც განაცხადეთ, წმინდა წყლის სიცრუე, ცილისნამება და პროვოკაციაა, თქვენ მოხსენებითი ბარათი სიყალბეზე ააგეთ და დაუჯერეთ მაბეზღარა ჯაშუშებს და არაფერი კითხეთ ამ პატიოსან ადამიანს (იგი იაკობისკენ

მიუთითებს), ისარგებლეთ მისი მძიმე ავადმყოფობით. განა ეს ადამიანური საქციელია თქვენის მხრიდან? ქართველი ხალხი თქვენ ამას არასოდეს გაპატიებთ, თქვენ შეურაცმყოფა მიაყენეთ ადამიანს, რომელიც დღე და ღამე ზრუნავს საქართველოში განათლების აყვავებისათვის, მოვა დრო და თქვენ ამაზე პასუხს აგებთ ქართველი ხალხის წინაშე.

კერსკი. მე ჩემი მოვალეობა მოვიხადე ბატონებო, კარგად ბრძანდებოდეთ. (ორივე ჩინოვნიკი გადის ოთახიდან. ისკობს კვლავ ხველა აუვარდება, რომელსაც სისხლის ღებინება მოყვება).

ნიკო. იაკობ, მე ექიმს მოვიყვან და მალე დავბრუნდები (და იგი გადის ოთახიდან, იაკობი მარტო რჩება. იგი დგება ლოგინიდან, იცმევს და სადლაც წასასვლელად ემზადება).

იაკობი. მე მხოლოდ ერთი რამ დამრჩენია, რომ თავი მტკვარში დავიხრჩო (და იგი გადის ოთახიდან. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოდიან იაკობის მეგობრები და კოლეგები ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი და ექიმი ტიტე ქიქოძე).

ნიკო. ნეტა სად არის იაკობი, სად წავიდა, ოღონდ თავის თავს არაფერი ავნოს, იგი მეტად ამაყი კაცია და ყოველივეს ადვილად ვერ გადაიტანს (უცბად ოთახის კარი იღება და ნიკოს ძმას სანდროს შემოყავს იაკობი ხელში აყვანილი და საწოლზედ აწვენს, იაკობი მთლად სველია).

ნიკო. რა მოხდა სანდრო, ეს რა მოსვლია იაკობს? (ყველა გაკვირვებული და გაოგნებულია. ექიმი იაკობთან მიდის და მას შინჯავს, სხვებიც თავს ეხვევიან იაკობს, ტანთ ხდიან და ლოგინში აწვენენ).

სანდრო. შუა დღე იქნებოდა მიტანებული, როცა მე რაღაც საქმისთვის ვერის სასაფლაოს გვერდით დალმართზე ჩავდიოდი, მარცხენა ნაპირიდან ვიღაც მოადგა მტკვარს და ისე გაუხდელი შევიდა წყალში, შუა ადგილას

წყალმა წააქცია და რამდენსამე წამს სრულიად დაფარა, მერე კვლავ გამოჩნდა, იწყო ბრძოლა ტალ-ლებთან და ნაპირს დაუახლოვდა, მაშინვე მივეშველე მეც და როდესაც სახეზე შევხედე, მეტის მწუხარების და გაოცებისაგან კინალამ გული შემინუხდა. იაკობი ვიცანი, სწრაფად ეტლში ჩავსვი და აქ მოვიყვანე.

ნიკო. ყოჩალ, ძმაო, კარგად მოქცეულხარ, ეხლა კი რამე უნდა ვიღონოთ, იაკობს ბინა ჩამოართვეს და მისი აქ გაჩერება აღარ შეიძლება, ჩვენთან სახლში მთაწმინდაზე უნდა წავიყვანოთ, იქ მას მე ყველა პირობას შევუქმნი სამკურნალოდ და სამუშაოდ. მერე კი იქვე ჩემთან ახლოს მას ბინის დაქირავება უნდოდა და იქნებ მოუძებნო შესაფერისი ოთახები.

სცენა №4

იაკობის ბინა მთაწმინდაზე, მზიანი ოთხი ოთახი. მისაღები დიდი ოთახი. შუაში დგას მრგვალი მაგიდა ოთხი სკამით, იქვე კუთხეში პატარა დივანია ორი სავარდლით, ერთ კედელზე წიგნის თაროებია ჩამოკიდებული, ოთახში ბუხარი ანთია, იაკობი ზის ბუხრის წინ პატარა სკამზე, მის ირგვლივ სხვადასხვა ქაღალდები ყრია, იაკობი მათ სათითაოდ იღებს და ბუხარში ყრის, კარი იღება და ოთახში შემოდის იაკობის მეგობარი ნიკო, რომელიც მხიარულ ხასიათზედ არის.

ნიკო. გამარჯობა იაკობ, როგორა ხარ? (შემოსვლისთანავე შემოსძახა მეგობარმა).

იაკობი. აი, ეს წყეულები მაწუხებენ, მინდა თავიდან მოვიშორო. (იაკობი დგება, მიდის მაგიდასთან, იღებს იქიდან ქაღალდების დასტას, ბუხართან მიაქვს და შიგ ყრის).

ნიკო. რა იყო, იაკობ? რა ქაღალდები უთავაზე ამ ჩვენ მხიარულ ბუხარსა? (ჰკითხა ლიმილით ნიკომ მეგობარს).

იაკობი. დავწვი ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება აღარ

შემეძლოს, ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადე-
მიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთები და ქაღალ-
დები, ყველანი ცეცხლს მივართვი ძლვნადა, ვაი თუ
მაგათის წყალობით შემდეგ როდისმე გამდვიძებოდა
სურვილი სამსახურში შესვლისა, ამიერიდან მთელი
ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა
მოვახმარო.

ნიკო. გაუმარჯოს იაკობს, გაუმარჯოს! (შესძახა აღტაცებულ-
მა ნიკომ და მეგობრულად გადახვია მხარზე ხელი
იაკობს და წარმოსთვა) ქვეყნის სამსახურს არც მე
გავექცევი, ჩემო იაკობ: ვფიცავ პატიოსნებას და ამ
ქვეყნის მომავალს! შენ გვერდით მუდამ ვიქნები და
ერთად ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეო-
ბისათვის.

იაკობი. (იღიმება). მგონი ერთად მოგვიწევს ბრძოლაცა და
დამარხვაც დიდუბის მოღვაწეთა პანთეონში. ჴა, რას
იტყვი ნიკო, მგონი კარგი ადგილი უნდა იყოს (თან
ეღიმება).

ნიკო. ნაადრევია სიკვდილზედ ფიქრი, ჩემო იაკობ, ჯერ ჩვენ
ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი ამ ქვეყანაზე.
აუცილებლად უნდა დავაარსოთ „ლარიბ მოსწავლეთა
შემწე თბილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზო-
გადოება“, ამ საქმეში დიდად დაგვეხმარება გიორგი
ერისთავი.

იაკობი. შემდეგ უნდა დავაარსოთ „ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მე დავი-
წყე მუშაობა საზოგადოების წესდებაზე, ამასთან
დაკავშირებით ჩემთან სტუმრად მოწვეული მყავს
ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, გარდა ამისა,
ანბანის მაგივრად უნდა გამოვცე ახალი წიგნი „დედა-
ენა“. რომელიც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლე
ახალგაზრდობას მშობლიური ენის კარგად დაუფლე-
ბაში. ასევე დაწერილი მაქვს ათი მოთხოვნა, რომელ-
იც ცალკე გამოცემის სახით იბეჭდება, მათ შორის
არის „იავნანამ რა ჰქმნა“, „მეფე ერეკლე და ინგილო

ქალი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებულნი ქართველნი და სხვა. გარდა ამისა ვმუშაობ „რუსკოე სლოვო“-ზე. ეს სახელმძღვანელო ორ ნაწილიანი იქნება ქართული დაწყებითი სკოლებისათვის. (კარზედ აკაკუნებენ, ნიკო კარს აღებს და ოთახში შემოდიან ძვირფასი სტუმრები — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი).

ილია. გამარჯობა იაკობ.

აკაკი. როგორ ხარ, ჩემო იაკობ? (ორივე მიდიან და იაკობს ხელს ართმევენ, იაკობი მათ წინ ეგებება და ხელს ართმევს).

იაკობი. სავარძლებში დაბრძანდით, ჩემო ძვირფასო სტუმრებო (შემდეგ ნიკოს მიუტრიალდება იაკობი და ეტყვის) ნიკო გულუაშვილს დაუძახე ჩემს მოსამსახურეს და სუფრის გაწყობაში მოეხმარე. (ნიკო გადის და მალე მოსამსახურესთან ერთად სუფრას აწყობს სტუმრებისათვის. სტუმრები კი სავარძლებში დაბრძანდნენ).

იაკობი. როგორ უნდა ვიყო ჩემო მეგობრებო ამ ველიკორუს-თაგან შევიწროებული?!?

ილია. რაო იაკობ, რას გედავებიან?

იაკობი. რას მედავებიან, ჩემო ილია, და რატომ ასწავლიდი მეოთხე კლასში ჯერ ქართულად და მერე რუსულადო, ეს ჩვენს კანონს პირდაპირ ეწინააღმდეგებაო, სასწავლებელს მიმართულება საერო მიეციო, ნაცვლად წინანდელი სასულიერო მიმართულებისაო, ჩაიგდე ხელში ბიბლიოთეკა და გაავსე იგი ლიბერალური და რადიკალური თხზულებებით, მოსწავლებს კი მათი კითხვა დააწყებინეო, რის გამოც შესუსტდა კონსერვატიზმი და გაძლიერდა ლიბერალიზმი და რადიკალიზმიო. ქართული ენა ისე შეაყვარეო, რომ მოსწავლეებმა მთავრობას მთელი არზა მიართვეს ქართული ენის ცალკე კათედრა დაგვიარსეთო, ამგვარ მოთხოვნებს ადგილი არ ჰქონია მთელი სამოცი წლის განმავლობაშიო, ამას დაემატა მაბეზღარობა, უუნარო ჭორები ჩემი სეპარატიზმისა, ხოლო ამას მიყვა ჩემი დათხოვნა სამსახურიდან. ეს მაშინ, როცა ასე სერიოზულად ვიყავი ავად ფილტვებით.

ილია. ძალიან უსამართლოდ მოიქცნენ რუსი ბიუროკრატები, საქართველომ რუსეთთან შეერთებით თავი გადაარჩინა ფიზიკური განადგურებისაგან, ეხლა საჭიროა ქვეყნის სულიერი არსებობის გადარჩენა, ამიტომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ცოდნის, სწავლისა და მეცნიერების განვითარებისათვის, ცოდნა ხომ ისეთი სიმდიდოება, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯავად და უბარგოდ, ვერც ვინ მოპარავს, ვერც ვინ წინ გადაუდება. ღონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია, ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ, თავის თავადაც სიმდიდოები, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდოება, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს, ერთ სანთელზე რომ ათასს სხვას სანთელს მოუკიდებ, სანთელს იმით არც ალი დაკლდება, არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი ამასთან ერთად დაინტებს ლაპლაპს. სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტა ბუუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სანთელია, სჩანს — ჰლვიძავთო, და დაგვიანებულ მოყვარეს კი ახარებს კიდეც იმით, რომ იქ მღვიძარები დამხვდებიან.

იაკობი. ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო ილია, რუსი ბიუროკრატები ჩვენ ახალგაზრდებში ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის შეფერხებას ცდილობენ და ამ უმსგავსობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, მეც თქვენსავით ვარ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგი და მჯერა რომ არის ორი რუსეთი, ერთის მხრივ მეფის მემამულებისა და მათი იდეოლოგების მემარჯვენე რუსეთი და მეორეს მხრივ, პროგრესული რუსეთი, რომელთანაც მე დიდი სიმპატიები მაკავშირებს. რუს შევინისტებს ვერ

დავეთანხმები იმაში, რომ რუსულ ენაზე დაფუძნებული სწავლება უფრო ეფექტურია, ვიდრე მშობლიურზე, რუსული ენა არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ შეაერთა ბედი საქართველოსი, ამიტომ რუსული ენა უნდა აუცილებლად მისდევდეს ქართულ ენას, როგორც სკოლებში, ისე სახლებში, საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყევრად მივაბათ რუსული ენა და სხვა ენები.

აკაკი წერეთელი. ახირებულ დროში ვცხოვრობთ! დღეს ჩვენში სიმართლემ და ჭეშმარიტებამ ნიადაგი დაჰკარგა და მათ ნაცვლად სიმრუდე და ორპირობა დაფარფაშებს! ცილისნამებას საზღვარი აღარა აქვს: სიტყვა სხვანაირად გადააქვთ, აუკულმართებენ და იარაღად ხმარობენ, თვით ნაწერებსაც კი სხვანაირადა ხსნიან და თავს მითი იმართლებენ, რომ ასე გვესმისო. ამის მაგალითები მე თვითონ ჩემ თავზედ გადამხდა ისე რომ რუსი შოვინისტები, ბატონო იაკობ, მარტო თქვენ არ გმტრობენ, ჩვენც მაგ დღეში ვართ და იყეფონ რამდენიც უნდათ. თქვენ მათ ყურადღება არ მიაქციოთ და ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. რაც შეეხება მშობლიურ ენას, მოგახსენებთ, რომ დედამინის ზურგზე არ გვეგულება მისთანა პატარა ერი, რომელსაც თავისი ჭირნახულობით და ისტორიული თავგადასავლით, ჩვენს ერზედ უფრო დიდებული და ღირსშესანიშნავი წარსული ჰქონდეს — გასაოცარი გამძლეობით, საკვირველი მხნეობით ჩვენი წინაპრები გაუმკლავდნენ მტრებს და დაიცვეს ის, რაც შეადგენს ყოველი ერის სიმაღლესა და სულისდგომას. ესე იგი, საკუთარი ერი, ქრისტეს სჯული და ამ სარწმუნოების საფუძველი ქვაკუთხედი — ქართული დედაენაა. სწორედ ეს არის პატრიოტიზმი.

იაკობი. ყველაფერში გეთანხმებით, ბატონო აკაკი, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთმა ვაი პატრიოტმა დაივიწყა ყოველივე ის, რაც თქვენ აღნიშნეთ, ვის ჰქვიან პატრიო-

ტი, მხოლოდ მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადაღობებია, ვისაც დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ლიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე (ნიკომ და იაკობის მსახურმა სუფრა გაშალეს).

იაკობი. ბატონებო, გთხოვთ სუფრასთან მობრძანდეთ და ადგილები დაიკავოთ (ილია და აკაკი დგებიან და მაგიდას შემოუსხდებიან, ნიკო ლვინის ჭიქებს ავსებს და იაკობი სადღეგრძელოსთვის ემზადება). ეროვნულობის და ხალხურობის ნიშანი არის ენა და ლიტერატურა, იგი უმდიდრესი სალაროა, რომელშიაც მრავალ თაობებს ძვირფასი განძივით შეუნახავთ უკეთილშობილესი გრძნობები გულისა. ამჟამად გამოიცა ჩემი ავტორობით „დედაენის“ წიგნი მოსწავლეთათვის, მოდით მეგობრებო, გზა დავულოცოთ ამ „ეროვნების ბურჯს“.

ილია. შენს „დედაენას“ გაუმარჯოს იაკობ, არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული „დედაენაა“, ნება მომეცით, ბატონო იაკობ, თქვენი „დედაენა რუსთაველის სიტყვების გამოყენებით შევაქო ლექსით.

იაკობი. ბრძანეთ, ბატონო ილია.

ილია. ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-ენა მიჩანს სახელად,
თავი არ გამიქიქია.
იგია ფუძე ქართვლისა,
მაგარი ვითა ჯიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია...

იაკობი. ეს სიტყვები, ბატონი ილია, ჩემთვის დიდი პატივია, მადლობას მოგახსენებთ.

აკაკი. ჩვენმა შვილებმა უნდა შეიგრძნონ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, ძმები ვართ, სამი ძლიერის, უხრნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერის დედა-ქართული ენით. გაუმარჯოს იაკობს და მის უკვდავ დედაენას.

იაკობი. ამ სადღეგრძელოს ერთი კარგი სიმღერაც მოუხდება (და იგი იწყებს სიმღერას „შენი ჭირიმე გუთანო ღირლიტავ ბანი უთხარო, შემდეგ მიმინო მყავდა მიყვარდა“).

ნიკო ცხვედაძე. ბატონებო, სასიხარილო ამბავი უნდა გამცნოთ, თქვენთვის ცნობილია, რომ იაკობი და მე ჯერ კიდევ 1876 წელს შევუდექით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ორგანიზაციას, რომლის წესდებაც დავამუშავეთ თქვენთან ერთად. ბატონი ოაკობის დაუინებული მოთხოვნით საზოგადოების წესდებაში შეტანილ იქნა მუხლი, რომლის მიხედვით წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზედ უნდა ყოფილიყო. საზოგადოების დამფუძნებელ და წესდებაზე ხელმომწერ პირთა შერჩევა თქვენ ითავეთ, ბატონი ილია, ბატონ იაკობს წესდებაზე ხელი არ მოუწერია, როგორც მესამე სტატიით სამსახურიდან განთავისუფლებულს და მაშასადამე, მთავრობისათვის მიულებელ პირს. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდება წარუდგინეს მეფისნაცვალს კავკასიაში, პირველად ეჭვს იწვევდა ბატონ იაკობის მოთხოვნით ჩამატებული მუხლის დამტკიცება მეფისნაცვლის მიერ, მაგრამ მისი მოლიბერალო თანაშემწის სტაროსელსკის დახმარებით წესდება დამტკიცებული იქნა უცვლელად. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დიმიტრი ყიფიანი, მდივნად იონა მეუნარგია. მეგობრებო, საზოგადოება შეუდგა თავის ხანგრძლივ და ნაყოფიერ

- კულტურულ მუშაობას. (იქ მყოფი ყველა გახარებულია და ერთმანეთს ულოცავენ ამ მნიშვნელოვან მოვლენას).
- იაკობი.** ზოგიერთისთვის აქ მყოფთაგან არ არის ცნობილი ერთი მნიშვნელოვანი რამ, ახლად დაარსებულ საზოგადოებას, ბატონებო, ფართო დანიშნულება აქვს, მაგრამ ნივთიერი სახსარი კი ძლიერ მცირე ამ დიდ ნაკლს წამალი დაადო ჩვენმა სასიქადულო მამული-შვილმა, ბატონმა ილია ჭავჭავაძემ, სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე მან წარმოსთქვა მეტად ძლიერი სიტყვა ახლად დაარსებული საზოგადოების დიდი მნიშვნელობის შესახებ და გადაადებინა მის სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი ფული, ამით მან ფეხზე დააყენა საზოგადოება და გაუხსნა მას გზა ფართო მოქმედებისათვის. გაუმარჯოს ილია ჭავჭავაძეს, მეგობრებო. (ყველა ფეხზე დგება და მადლობას უხდის ილიას და სხვამს მის სადღეგრძელოს. სტუმრები მღერიან „მრავალ უამიერს“).
- აკაკი წერეთელი.** ძმაო იაკობ, მინდა შენ და შენი სტუმრები ყველა დაგპატიურთ საჩხერეში ჩემთან, მაგრამ შენ იქით რა წაგიტყუებს ამ სიშორეზე. თუმცა სურამსაც და ბორჯომსაც სჯობია ჩვენი საჩხერე, განსაკუთრებით სადაც მე ვსახლობ. არც ქარი იცის, არც სიცხე და არც სიცივე. თუ მივაღწიე გაისამდი, ეგება გაგაბედვინო როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუება, გაგიმზადებ ოთახებს სწორედ შენი გემოს საკადრისს, ერთი იქითკენაც დაენახვე ჩვენებურ ბავშვებს. ერთხელ ერთმა პანანინა მეზობლის გოგონამ მკითხა შენს შესახებ: მელოტია თუ არა იაკობ გოგებაშვილიო? შვილები თუ ყავსო? განყრომა იცისო? და სხვა. ნეტავი მაჩვენაო და მეც დავპირდი, აუცილებლად გაჩვენებ-თქო, ძალიან გაეხარდა.
- იაკობი.** გადაეცი იმ პატარა საყვარელ გოგონას, რომ ამ ზაფხულს აუცილებლად ჩამოვა იაკობი-თქო და საჩუქრად თავის „დედაენას“ ჩამოგიტანს-თქო, თუ რა თქმა უნდა ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო.

სცენა №5

იაკობის სახლი ვერაზე, იაკობის საწოლი ოთახი. იაკობი ლოგინში წევს, იგი ძალზედ ავადაა. მის გვერდით სკამებზე სხედან ელენე მამაცაშვილი და ქრისტინე – იაკობის ნათესავი. დგანან იაკობის ძმისშვილი შალვა გოგებაშვილი, ნიკო ლომოური – იაკობის ყოფილი მონაფე. იაკობის ექიმი ტიტე ქიქოძე. ოთახის კუთხეში ძველებური უჯრებიანი კამოდი დგას, მის გვერდით პატარა მრგვალი მაგიდაა, მაგიდის თავზე წიგნის რამდენიმე თარო კიდია, ზედ იაკობის წიგნები დევს. თვალსაჩინო ადგილასაა მისი უკვდავი „დედაენა“.

იაკობი. მთელი ცხოვრების მანძილზედ ოპოზიციაში ვედექი არსებულ წესწყობილობას ერთგულად ვემსახურებოდი ჩემი ხალხის წინსვლას და განვითარებას, ამ ერთხელ არჩეულ გზისთვის არასდროს მიღალატნია. მთელი სიცოცხლის მანძილზე ვიცავდი თვითმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას „დედაენაზე“, ქართული ეკლესის განთავისუფლებას ანუ ავტოკეფალიას, ქართული ტერიტორიის გადასვლას ქართველი გლეხების ხელში, ყოველივე ამას ვიცავდი ორსავე ენაზე – როგორც ქართულზე, ისე რუსულზე, ერთნაირი გაბედულებით, ერთნაირი მიმართულებებით და შინაარსით და ვერც ერთი ცილისმნამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახალ ნაწერებში, თუნდაც მცირეოდენს ორჭოფობას, ორგულობას. მე გამოვედი საზოგადო ასპარეზზე შემუშავებული პროგრამით, ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტის ოდენადაც არ მიღალატნია არც ერთხელ, არას დროსა. მე არასდროს არ დამვიწყებია, თუ რისი შემძლეა ჩვენი პატარა ერი — „მაქ-სიმუმი შესაძლებლობისა“. ასეთი იყო ჩემი დევიზი და არასდროს შეუძლებელზე ჩვენს ერსა არ ვაქეზებდი, რადგანაც ცაში წეროების დევნა საუკეთესო ღონისძიებაა, რომ ყველა შინაური ფრინველიც კი ხე-

ლიდან გამოეცალოს სახლსა და ტვითონაც სიკვდილის გზას დაადგეს, დემოკრატიულობა, ხალხურობა, ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი არის ჩემი მსოფლი-მხედველობა, რომელსაც მე მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვემსახურებოდი. ხოლო ქვეყნისათვის მძიმე წლებში ჩემი „დედაენა“ ქართული ენის ბურჯი იყო და სახალხო განათლების ფარ-მახვილი. მე ძალიან ავად ვარ და საბავშვო ბალებს სათანადო ყუ-რადღებას ვეღარ ვუთმობ, გთხოვთ, არამც და არამც ამ საქმეს ხელი არ გაუშვათ დედებმა და უპატრონეთ, ქალებს ბევრი შეუძლიათ გააკეთონ ბავშვების აღზრდის საქმეში. სანამ ჩემი „დედაენა“ იარსებებს, ჩემი მცირე დახმარება ისევ ის იქნება საბავშვო ბალ-თან დაკავშირებით. ახლა, შალვა, კამოდის უჯრიდან ამოიღე შეკვრა ქალალდებისა. მანდ არის ჩემი ანდერ-ძი, დაჯექი და ხმამაღლა წამიკითხე, მინდა თქვენი აზრი გავიგო და შევამოწმო, ხომ არაფერი გამომრჩა ან საზოგადოებას ხომ არაფერი დავაკელი. შემდეგ უფრო დამშვიდებით გამოვეთხოვები ამ წუთისოფელს.

შალვა. ძია, ანდერძზე ფიქრი ნაადრევია, როდესაც მორჩიბი, მერც შეიძლება დამშვიდებით ანდერძის წაკითხვა.

იაკობი. არა, ჩემოშალვა, მერე გვიან იქნება, გთხოვ ეხლა წამიკითხო.

შალვა. (დგება, უჯრიდან ანდერძს იღებს და კითხულობს). მე, ქვემოთ ხელის მომწერი, იაკობ სიმონის ძე გოგება-შვილი საღი გონებით და მტკიცე მეხსიერებით, ჩემი

გარდაცვალების შემთხვევისათვის ვაცხადებ ჩემს შემდეგ ნება-სურვილს: ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ გამოუკლებლივ ყველა ჩემს სახელმძღვა-ნელოსა და წიგნს, ჩემს ბიბლიოთეკას ვუანდერძებ ქართულ მოსახლეობას შორის წერა-კითხვის გამავრ-ცელებელ თბილისის საზოგადოებას. ამავე საზოგადოე-ბას ვუანდერძებ მიწის ნაკვეთს ვერაზე თბილისში ზე-მოთ 269 კვადრატულ საფეხს, რომელიც 1904 წელს ვიყიდე.

ამასთან ერთად „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ვაკისრებ დაიცვას შემდეგი პირობები: ჩემი სახელ-

მძღვანელობის ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე ის ვალდებულია დააპარსოს და შეინახოს სანიმუშო დაწყებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად მდებარეობს.

ყოველწლიურად აძლიოს ყოველი ნახევარი წლის განმავლობაში ასოცი მანეთი ჩემს მოხუც დას ეფენია სიმონის ასულს ინოურის ქვრივს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – მის ღარიბ შვილს გიორგის, ოჯახთან ერთად, სანამ ეს შესაძლო იქნება.

თუ ჩემი სტიპენდიანტები: ძმისწული შალვა გოგებაშვილი, ამჟამად კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი, აგრეთვე ჩემი დისტანციული შვილი კონსტანტინე კასრაძე, მანგებინელი სტუდენტი, ვერ მიიღებენ საკმაო სტიპენდიებს, საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობით, მაშინ ეს გამგეობა მისცემს ორთავეს შესაძლებლობას ჩემი სახელმძღვანელოების შემოსავლის ხარჯზე მიიღონ უმაღლესი განათლება.

ჩემი ქართული და რუსული წიგნების ყოველი გაყიდული ეგზიმპლარიდან „წერა-კითხვის საზოგადოება“ გადასდებს გარკვეულ პროცენტს სახალხო საგანმანათლებლო კაპიტალის შესაქმნელად.

ჩემი წიგნების შემოსავლიდან საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურ სუბსიდიას არანაკლებ 300 მანეთისა მისცემს ქართულ პედაგოგიურ უურნალს „განათლებლო კაპიტალის შესაქმნელად“.

ყოველწლიურად აძლევს აკაკი როსტომის-ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც პონორარს იმ საბავშვო ლექსებისათვის, რომლებიც იქნება „დედაენაში“ და რომლებიც ჩემის თხოვნით სპეციალურად დაწერილია ამ ჩემი გამოცემისათვის. ეს ანდერძი შეადგინა, გადასწერა და მას ხელი მოაწერა თვითონ მოანდერძემ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილმა. 1912 წელი 14 მარტი (შალვამ დაამთავრა ანდერძის კითხვა).

იაკობი. (ამოიოხერა) მოვრჩი ჩემი სამსახური ხალხის საქმისათვის, მისი სიკეთისათვის, რაც რჩება ჩემი სიკვდილის

შემდეგ დიდი ნაწილი უნდა ხალხსავე მოხმარდეს. მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ კარგად მოუაროს ჩემს „დედაენას“ და გონივრულად მოიხმაროს მისი შემოსავალი.

ნიკო ლომოური. ბატონი იაკობ, ნუ დარდობთ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთ, მაგრამ ჯერ ნაადრევია თქვენი ფიქრი ანდერძზე (იგი მიდის და იაკობს ხელზედ აკოცებს).

იაკობი. დეკანოზი ხომ არა ვარ, ხელზე რომ მკოცნი?

ნიკო ლომოური. რომელი დეკანოზის ხელი იქნება შენს ხელზე უფრო მადლიანი.

იაკობი. ახლა თუ გადავურჩი სიკვდილს, კიდევ ბევრი რამის გაკეთებას ვაპირებ ჩემი ქვეყნისათვის (ამ დროს ელენე ცხვედაძე მიდის იაკობთან, გვერდით მიუჯდება და თავის ხელს მის ხელს დაადებს). შენ, ჩემო ელენე, ხომ გამიწევ დახმარებას ამ საქმეში?

ელენე. როგორ არა, ბატონი იაკობ, აუცილებლად (და მას ცრემლი მისდის თვალებიდან, ტირის ქრისტინეც, რომელიც ცრემლს შეიშრობს და იაკობს ეტყვის).

ქრისტინე. (იღებს გაზეთს და იაკობს ეუბნება). ძია, ნაიკითხე, ჩვენს მგოსანს შიო მღვიმელს რა კარგი ლექსი დაუწერია „არწივს“, რომელსაც თქვენ გიძლვნით.

იაკობი. წავიკითხე, ჩემო ქრისტინე, ძალიან კარგი ლექსია, მაგრამ შენ და ელენეს თვალზედ ცრემლს გატყობთ, რატომ ტირიხართ, ჩემო ელენე მამაშენს ნიკოს სიკვდილის შემდეგ დიდი დრო არც მე დამრჩენია ამ ქვეყანაზე. მალე მეც მის გვერდით მთანმინდაზე ვპოვებ სასუფეველს, სიცოცხლეში განუშორებელი მეგობრები ვიყავით და სიკვდილის შემდეგაც ერთად ვიქწებით. მადლობა ლმერთს ლრმა მოხუცებულობაში მიდგია ფეხი 72 წელს ვარ მიღწეული, ჩემი ხნის ადამიანები დიდი ხანია, რაც წუთისოფელს ჩამოშორდნენ! ჩემი დროც მოვიდა და აქ სატირალი რა უდნა იყოს. (უცბად კარი იღება და ოთახში მასწავლებელს საბავშვო ბალის მოსწავლეები შემოყავს იაკობის

სანახავად ყვავილებით. მათ უკან მწერალი შიო
მღვიმელი მოყვება).

იაკობი (გაილიმებს პატარების დანახვაზე). მოხვედით, ჩემო
პატარა მეგობრებო, თქვენ გენაცვალეთ, თქვენ
შემოგწირეთ მე მთელი ჩემი სიცოცხლე. გახსოვდეთ,
„დედაენა“ და საქართველო ისინი ყველაფერია
თქვენთვის, გაუფრთხილდით ორივეს. (ეს იყო იაკო-
ბის უკანასკნელი სიტყვები, რის შემდეგ მან სული
განუტევა. ელენე და ქრისტინე ტირილს იწყებენ. ამ
დროს შიო მღვიმელი წარმოთქვამს თავის ლექსს
იაკობზე).

შიო მღვიმელი. ცამ დაჟკრა, მეხი დასჭექა,
შეირყა მთა და ბარია,
ბუნება ძაძაში ჯდება,
მზემაც სხივები არია.
გაისმის რაღაც ბუბუნი,
თითქოს გლოვა და ზარია,
რა ამბავია, რა მოხდა,
განა ვინა გვყავს მევდარია?
იაკობ გოგებაშვილი?!
ვინც ამას ჰუკერობს – მცდარია:

(იგი ბავშვებისკენ მოტრიალდება და მათ ეუბნება)
ბალდებო, თქვენი ჭირიმე,
იმედნო ჩვენი დღენისა,
იმღერეთ: როდი მომკვდარა
მომცემი „დედაენისა“.

პიესის დასასრული

